ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 3-07/1410568-16 17 07 2014 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი – ნაძალადევი, ქუჩა ქსანი, ქუჩა №14ა-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია (მიშენება-დაშენებით)) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ №ბ-12/14069545-16 31.03.2014წ. ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

2014 წლის 15 აპრილს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს განცხადებით მომართა მოქ. როინ სიჭინავამ და მოითხოვა სექტორი – ნაძალადევი, ქუჩა ქსანი, ქუჩა №14ა-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია (მიშენება-დაშენებით)) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ №ბ-12/14069545-16 31.03.2014წ. ბრძანებაში ცვლილებების შეტანა და წარმოადგინა გარკვეული დარღვევების გამოსწორების დამადასტურებელი ფოტოსურათები.

სამსახურმა განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, კერძოდ, წარმოდგენილი დარღვევების გამოსწორების დამადასტურებელი ფოტოსურათები და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის შედეგად (საქმეშია 14.07.2014წ. ცნობა) გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე და 63-ე მუხლების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1) შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის №ბ-12/14069545-16 31.03.2014წ. ბრძანებაში და ობიექტზე არსებული დარღვევების ჩამონათვალიდან ამოღებულ იქნას: „1-10 ფასადი: +1.65 ნიშნულზე, 7-8 მონაკვეთში, მინაბლოკის ღიობში მოწყობილია გამწოვი მილი", „6-6 ღერძთან კარის თავზე დამატებით მოწყობილია მცირე ზომის ღიობი (გამწოვი მილისთვის)" და „ფასადზე დამატებით მოწყობილია გამწოვი".

2) წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის №ბ-12/14069545-16 31.03.2014წ. ბრძანებასთან ერთად.

3) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №07/1410568-16 15.04.2014წ. განცხადება
№12/1414863-16 28.05.2014წ. განცხადება

უფროსის მოადგილე ვ. მუჯირიშვილი